შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“აბსო”

Limited Liability Company
“ABSO”

საქართველო, თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №15/9 ტელ. (+99532)393659, (+995)99553145 GSM
15/9 Budapeshti St. Tbilisi, Georgia phone: (99532)393659, (+995)99553145 GSM

№ 02 “7” თებერვალი 2013წ.

ქ.თბილისის მთავარ არქიტექტორს

მოსკოვის გამზირის მიმდებარედ გამომიყვეს დაჭაობებული, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელად ქცეული ტერიტორია შედარებით შეღავათიანი პირობებით, რადგან ამ ტერიტორიაზე გამავალი ავარიული კოლექტორები და ტერიტორია შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგე. ბანკიდან მერიის შუამდგომლობით გამოვიტანე 6%-იანი სესხი, სანიაღვრე კოლექტორზე ავაგე მიკრო ჰიდროელექტროსადგური, რომელიც გამოიმუშავებს 100 კილოვატს საათში, მოვაწყვე სათბურები 800მ$^2$-ზე, გამომყავს ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის ახალი ჯიშები.

საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრმა საერთაშორისო პარტნიორის-გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის მხარდაჭერით 2012 წლის 15 ოქტომბერს გამოაცხადა კონკურსი იმ კომპანიის გამოსავლენად, რომელსაც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით სურს განახორციელოს კვლევისა და განვითარების ახალი გზები. რომელშიც გავიმარჯვე და გადმოგვეცა გრანტი 20 000 ლარის ოდენობით, რომლითაც უნდა ავაგო დამატებით 600მ$^2$–ზე სათბური, ხის ძელაკების კონსტრუქცია გადახურული იქნება ფიჭური პოლიკარბონატით. ნებართვის მისაღებად მივმართე არქიტექტურის სამსახურის კონსულტანტებს, რომლებმაც მომთხოვეს დოკუმენტაცია და პროექტი თითქოს საცხოვრებელ კორპუსს ვაშენებდე. ჩვენი სათბური მსუბუქი კონსტრუქციებით და მასალებით იქნება აწყობილი მთლიანი წინა 4.5 ტონას არ აღემატება, რომლის ანალოგი ჯერ საქართველოში არაა. საჭიროების შემთხვევაში სათბურის დაშლა და სხვა ადგილზე გადატანა ერთ დღეშია შესაძლებელი კონსტრუქციების დაუზიანებლად, რაც მთავარია სათბურის აგებით მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა.

უმორჩილესად გთხოვთ თუ ამის შესაძლებლობა არსებობს მოგვცეთ სთბურის მოწყობის უფლება პროექტის გაკეთების გარეშე, რათა დროულად დავიწყოთ სამუშაოები და უარი არ ვთქვა გრანტის ათვისებაზე.

დირექტორი: სოსო აბჟანდაძე